ევროკავშირი–არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტი: „გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესება არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდის გზით“

სატყეო მიწების მმართველობის გაუმჯობესება საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის

მწვანე ალტერნატივა

რეზიუმე

მწვანე ალტერნატივის პროექტმა „სატყეო მიწების მმართველობის გაუმჯობესება საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის“ წვლილი შეიტანა გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესებაში ისეთი ქმედებების საშუალებით, როგორებიცაა: (1) სატყეო მიწების მმართველობის შეფასება საქართველოში; (2) სატყეო მიწების გონივრული მმართველობისა და ტყის მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლება; (3) ალიანსების შექმნა და მათი გაძლიერება ეფექტიანი ადვოკატირების მიზნით (4) მედია საშუალებების ჩართვა. სატყეო მიწების მმართველობის შეფასება ეფუძნებოდა მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის ტყეების მართვის ინიციატივის მიერ, ტყის მმართველობის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად შემუშვებულ ინდიკატორებს. მოწინავე გამოცდილებაზე დაყრდნობით მომზადდა სახელმძღვანელო „მიწის გონივრული მმართველობა მდგრადი განვითარებისათვის“, საჯარო პოლიტიკის ნარკვევი („ეკონომიკური პროექტების ზემოქმედების შედეგად ეკოსისტემების განადგურებასთან დაკავშირებული გამოწვევები“) და ტყის კატეგორიზაციის კონცეფცია („საქართველოს ტყისა და სატყეო მიწების კატეგორიზაცია“). ზემოხსენებული გამოცემები, სემინარებთან და შეხვედრებთან ერთად, დაეხმარა სატყეო სექტორის პოლიტიკის ჰარმონიზაციას და იმ დაწესებულებების კოორდინაციას, რომელთა კომპეტენციაშიც შედის მიწათსარგებლობა და სატყეო მიწების მართვა. ამგვარად, პროექტმა ხელი შეუწყო მიწათსარგებლობასა და ტყეების მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სექტორს შორის კონკურენციის შემცირებასა და კონფლიქტების გადაწყვეტას. პროექტმა აამაღლა არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოტენციალი, ტყის მართვასთან დაკავშირებულ თემებზე გადაწყვეტილებების მიღებაში ეფექტიანი მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, პროექტმა წვლილი შეიტანა სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ მიწათსარგებლობისა და ტყესთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და სხვა სახელმწიფო უწყებებმა ბევრი სასარგებლო ინფორმაცია მიიღეს პროექტის ფარგლებში ჩატარებული სემინარების, ტრენინგების, რეკომენდაციების და პუბლიკაციების/კვლევების შედეგად. პროექტით განხორციელებული დისკუსიებისა და ადვოკატირების შედეგად, სამინისტრომ მხარი დაუჭრა ტყეების კატეგორიზაციის იმ სქემას, რომელიც მწვანე ალტერნატივამ შესთავაზა. კატეგორიზაციის ამ სისტემაზე დაყრდნობით სამინისტრომ შეიმუშავა „საქართველოს ტყის კოდექსის“ კანონპროექტი. სამინისტრომ ასევე გაიზიარა მწვანე ალტერნატივის რეკომენდაციები,



ბორჯომის ხეობა

რომლებიც შეეხებოდა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესებას და ასახა ისინი ახალ კანონპროექტებში.[1]

ფონური სიტუაციის აღწერა

ტყეებს საქართველოს ტერიტორიის 40% უკავია. ტყეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე: ისინი არა მარტო ინარჩუნებენ უნიკალურ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, არამედ ასევე უზრუნველყოფენ ეკოსისტემებიდან მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლის (ეკოსისტემური სერვისები) და რესურსების უწყვეტ მოწოდებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ტყის მართვის ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გარემოსდაცვითი პრობლემების რაოდენობასა და მასშტაბებს. ეკოსისტემური სერვისები, როგორებიცაა შეშა და სამასალე მერქანი, არამერქნული პროდუქცია და სასმელი წყალი, ასევე ეროზიის, წყალდიდობებისა და მეწყერების პრევენცია, მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის. გარემოს სწორ მართვას გადამწყვეტი როლი ენიჭება ბუნებრივი რესურსების დაცვასა და მათ მდგრად გამოყენებაში - სიღარიბის დასაძლევად, გარემოს დეგრადაციის შესაჩერებლად და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მისაღწევად. ცუდი მმართველობის ერთ-ერთი განმაპირობებელია მდგრადი მართვისა და ეკოსისტემური მიდგომების[2] თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნებული ტყეების კატეგორიზაციის (ზონირების) სისტემის არარსებობა. ეს უარყოფით გავლენას ახდენს დაცული ტერიტორიების განვითარებაზე და ზოგადად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე. მერქნის რესურსების გადამეტებული ექსპლუატაცია, უკონტროლო ძოვება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეკოსისტემებში (მათ შორის დაცულ ტერიტორიებზე) ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება არის სწორედ ცუდი მმართველობის შედეგი. სატყეო კანონმდებლობასა და ტყეების მართვასთან დაკავშირებით არაერთი კვლევაა ჩატარებული, მათ შორის მწვანე ალტერნატივის მიერ.[3] მიუხედავად ამისა, ტყის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის კომპლექსური ანალიზი არ აქამდე არ ყოფილა ჩატარებული. ამის გამო, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ საკითხების ადვოკატირებისა და მათთან დაკავშირებულ თემებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობები შეზღუდული იყო.

მცირე კავკასიონის ტყის ეკოსისტემები

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ვაცნობიერებდით რა ტყეების მდგრადი მართვის მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების დაცვასა და საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის საქმეში, პროექტის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა სატყეო მიწების მართვის გაუმჯობესება საქართველოში მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის. პროექტის კონკრეტული ამოცანები კი იყო: (1) ტყეების მმართველობის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებაში წვლილის შეტანა; (2) სწორი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებში დიალოგის ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს, ხელისუფლების წარმომადგნელებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის; (3) სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ადვოკატირების ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდა; (4) სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ცოდნის ამაღლება ტყეების მდგრადი მართვისა და მისი როლის შესახებ ბიომრავალფეროვნების/ ტყეების კონსერვაციის საქმეში.

პროექტის სამიზნე ჯგუფები იყო: მომიჯნავე სფეროებში (მიწისა და ტყის მართვა, სოფლის მეურნეობა, ადამიანის უფლებები, გარმოს დაცვა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა) აქტიურად მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები; მიწისა და ტყის მართვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობები, ასევე დონორები, რომლებიც ეხმარებიან მიწისა და ტყის სექტორებს; და სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა. პროექტის საბოლოო ბენეფიციარს საქართველოს მთელი მოსახლეობა წარმოადგენდა, რომელიც სარგებელს ნახავს საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების, ასევე მიწისა და ტყის სექტორის მმართველობის გაუმჯობესების შედეგად.

პროექტის სხვადასხვა მიზნების მისაღწევად განხორციელდა შემდეგი ოთხი სახის აქტივობა, რომლებიც მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული: (1) ტყეების მმართველობის შეფასება საქართველოში; (2) ტყის გონივრული მართვისა და მდგრადი განვითარების შესახებ ცოდნის ამაღლება; (3) ალიანსების შექმნა და გაძლიერება ეფექტური ადვოკატირებისათვის; (4) მედიის ჩართულობა.

[1] კანონპროექტები: „საქართველოს ტყის კოდექსი“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“

[2] ეკოსისტემური მიდგომა - „ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის“ მიხედვით, ეს არის მიწის, წყლისა და ცოცხალი ორგანიზმების მენეჯმენტის ინტეგრირებული სტრატეგია, რომელიც მათი კონსერვაციისა და გონივრული გამოყენებისკენაა მიმართული. მეტი ინფორმაციისათვის იხ. www.cbd.int

[3] იხ. პუბლიკაციები ვებ გვერდზე www.greenalt.org

პროექტის ძირითადი აქტივობები, შედეგები და ინოვაციები

პროექტი შემუშავდა ტყის მდგრად მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერების მიზნით. იგი ასევე დაეხმარა სამთავრობო უწყებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაზრდას მიწათსარგებლობის საკითხების, მათში ცვლილებების შეტანისა და სატყეო პრობლემების მოგვარებაში. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში. პროექტის ფარგლებში ჩატარებული სემინარებით, ტრენინგებით, რეკომენდაციებით და პუბლიკაციებით/კვლევებით ისარგებლა როგორც თავად სამინისტრომ ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და სხვა სახელმწიფო ორგანოებმა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოხდა საქართველოში სატყეო მიწების (ტყის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის) კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასება. კვლევა ეფუძნებოდა მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის ტყეების მართვის ინიციატივის მიერ, ტყის მმართველობის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად შემუშვებულ ინდიკატორებს[4]. ეს თანამედროვე ინსტრუმენტი ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია გამოყენებული. ტყეების მართვის მოწინავე გამოცდილებაზე დაყრდნობით მომზადდა გზამკვლევი მიწის გონივრული მართვის შესახებ (საქართველოს სინამდვილესთან ადაპტირებული FAO-ს ხელმძღვანელი მითითებები[5]), საჯარო პოლიტიკის ნარკვევი (სატყეო მიწებზე წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ) და ტყეების ზონირების პროექტი („საქართველოს ტყისა და სატყეო მიწების“ კატეგორიზაცია“). ეს აქტივობები, ისევე როგორც შეხვედრები მრგვალ მაგიდასთან, დისკუსიები, სემინარები და ინფორმაციისა და მონაცემთა გაცვლა მიწათსარგებლობისა და ტყითსარგებლობის საკითხებით დაკავებულ სხვა ორგანიზაციებთან, დაეხმარა მწვანე ალტერნატივას აემაღლებინა ცოდნა ტყით/მიწით სარგებლობისა და მართვის საკითხებზე.

შეხვედრები ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან, ბოლნისის რაიონის სოფელი დისველი

პროექტით გათვალისწინებული აქტივობები, მათ შორის კვლევის შედეგების, პროგრამული დოკუმენტებისა და სახელმძღვანელოების გამოქვეყნება, ისევე როგორც კომენტარები საკანონმდებლო აქტების პროექტებთან დაკავშირებით, დაეხმარა ტყის/გარემოს მართვის მონაწილეობითი პროცესების გაძლიერებას. „მიწის გონივრული მართვის სახელმძღვანელოში“ ახსნილია ტყის სწორი მმართველობის ხუთი ძირითადი პრინციპი. ამ პრინციპებში შედის გამჭვირვალობა, მონაწილეობა და ანგარიშგება. ეს ინდიკატორები ფართოდ განიხილებოდა სემინარებსა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს; მონაწილეებმა ასევე გაიარეს მომზადება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიყენება ეს სახელმძღვანელო პრინციპები გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პროექტის მიერ მომზადებული პუბლიკაციები, ისევე როგორც ტრენინგები და შეხვედრები დაეხმარნენ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს გარემოსდაცვითი ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერებაში და საკუთარი უფლებების დაცვაში. 15-ზე მეტმა სამოქალაქო საზოგადების ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა სემინარებსა და შეხვედრებში. შედგა სამოქალაქო საზოგადოების ოთხი ერთობლივი საჯარო განცხადება. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები ჩართულნი იყვნენ ტყის კატეგორიზაციის დოკუმენტის მომზადების პროცესში და ახალი კანონპროექტების განხილვაში.

პროექტმა კიდევ უფრო აამაღლა მწვანე ალტერნატივის შესაძლებლობები გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის თვალსაზრისით. ფასეული ინფორმაცია იქნა მოპოვებული საველე გასვლების შედეგად. პროექტის განმავლობაში მწვანე ალტერნატივის წევრები უზიარებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, მთავრობის წარმომადგენლებს და სახალხო დამცველის ოფისს. რვა ადამიანი (მწვანე ალტერნატივის წევრები და ექსპერტები, 3 მამაკაცი და 5 ქალი) იყო ჩართული პროექტით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

დაახლოებით 500 გადაწყვეტილების მიმღები პირი და სახელმწიფო მოხელე, მიწათსარგებლობისა და სატყეო საკითხებით დაკავებული სხვადასხვა უწყების წარმომადგენელი, გაეცნო პროექტის მიერ მომზადებულ პუბლიკაციებს. 20000-ზე მეტმა მოქალაქემ აიმაღლა ცნობიერება სატყეო მიწების მართვის პრობლემების შესახებ და გამოსთქვა აზრი მათი გადაწყვეტის გზების თაობაზე (ინფორმაცია მიიღო პროექტის პუბლიკაციების, სატელევიზიო პროგრამების, გაზეთების, ვებ-გვერდებისა და სოციალური მედიას საშუალებით); 200-მა ორგანიზაციამ მიიღო საჯარო პოლიტიკის ნარკვევის ბეჭდური ასლი. ამასთანავე, ამაღლდა საზოგადოების ცნობიერება ტყეების გონივრული მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ. როგორც მოქალაქეები, ისევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ახლა უფრო აქტიურად მონაწილეობენ სატყეო კოდექსის პროექტის საჯარო განხილვებში. პარლამენტარებმა და საპარლამენტო კომიტეტების თანამშრომლებმა მიიღეს

[4] The Governance of Forests Initiative (GFI) Guidance Manual: A Guide to Using the GFI Indicator Framework www.wri.org

[5] Committee on World Food Security (CFS). April 2012. Voluntary Guidelines on the Responsible Governance of Tenure of Land, Fisheries and Forests in the Context of National Food Security. CFS's Thirty-eighth (Special) Session, Rome, Italy, 11 May 2012, available at : http://www.fao.org/docrep/meeting/025/md708e.pdf

ინფორმაცია სატყეო მიწების მართვის ძირითადი გამოწვევების და მათთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ და მხარი დაუჭირეს „საქართველოს სატყეო კოდექსის“ პროექტს პარლამენტში მისი წინასწარი წარდგენის დროს.

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები, შედეგები და პუბლიკაციები გაშუქდა მედია-კონსულტაციებზე და გარემოს საკითხებისადმი მიძღვნილი ვებ-პორტალების, ასევე სოციალური მედიის საშუალებით. პროექტის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტების ციფრული ვერსიები ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივის ვებ-გვერდზე (www.greenalt.org). პროექტის განმავლობაში (2015 წლის იანვარი - 2016 წლის თებერვალი) მწვანე ალტერნატივის ვებ-გვერდი მოინახულა 59,700-მა უნიკალურმა ვიზიტორმა, ხოლო მწვანე ალტერნატივის ოფიციალური გვერდი „ფეისბუკზე“ მოიწონა 21,600-მა მოსარგებლემ. მწვანე ალტერნატივა პროექტის დასრულების შემდეგაც აგრძელებს ურთიერთობებს პროექტის სამიზნე ჯგუფებთან და ბენეფიციარებთან.

პოლიტიკაზე გავლენა

შეხვედრები და სემინარები დაეხმარა მწვანე ალტერნატივას ტყეების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო გადაწყვეტის გზების ადვოკატირებაში. უფრო მეტიც, სატყეო მიწების მართვის კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შეფასებამ, ისევე როგორც ინტერვიუების, კვლევების, შეხვედრებისა და საველე გასვლების დროს შეგროვებულმა მონაცემებმა ხელი შეუწყო მწვანე ალტერნატივის მიერ ტყის კატეგორიზაციის სისტემის მომზადებას. ეს სისტემა მოწონებულ იქნა დაინტერესებული მხარეების მიერ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ჩათვლით.

სემინარი გადაწყვეტილების მიმღებთათვის, თბილისი 14.06.2015

კატეგორიზაციის ამ სისტემაზე დაყრდნობით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი „საქართველოს სატყეო კოდექსი“. მწვანე ალტერნატივამ ასევე მოამზადა კომენტარები და რეკომენდაციები ამ სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტებზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ და „საქართველოს სატყეო კოდექსი“ და იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ, კანონპროექტზე „საჯარო რეესტრის კანონში შესწორებების შეტანის შესახებ“. ამასთანავე მწვანე ალტერნატივამ ჩამოაყალიბა რეკომენდაციები მონაწილეობითი მექანიზმების სრულყოფასთან დაკავშირებით, რომლებსაც ასევე დაეთანხმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და ასახა ისინი კანონპროექტებში. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მწვანე ალტერნატივის კომენტარები ტყის კოდექსის პროექტთან დაკავშირებით გაავრცელა საკუთარი ვებ-გვერდის საშუალებით და წარადგინა საჯარო განხილვებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტის ფარგლებში შეთავაზებული ტყეების კატეგორიზაციის სისტემა და მონაწილეობითი მექანიზმები პასუხობს სახელმწიფო სატყეო პოლიტიკის მოთხოვნებსა („საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“, და „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“) და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს (მათ შორის: ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და მინისტრების კონფერენცია ევროპის ტყეების დაცვის საკითხზე (MCPFE) http://www.foresteurope.org). ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, ტყეების კატეგორიზაციის სისტემის შემუშავება საქართველოს ერთ-ერთი უშუალო ვალდებულებაა. კატეგორიზაციის ეს სისტემა საშუალებას აძლევს საქართველოს შექმნას „ზურმუხტის ქსელი“, რომელიც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროკავშირის კანონმდებლობასთან[6] ჰარმონიზაციის გზაზე.

გამოწვევები

რამდენიმე ძირითადი გამოწვევა, რომელსაც პროექტი წააწყდა, მოკლედ შეიძლება ასე დახასიათდეს:

- ტრადიციულად მედია სიღმისეულად არ ინტერესდება გარმოსდაცვითი პრობლემებით. ისინი უფრო მეტად პოლიტიკურ ახალ ამბებზე არიან კონცენტრირებულნი. ამ გამომწვევასთან გასამკლავებლად მწვანე ალტრინატივამ სცადა მიება საკუთარი აქტივობები მიმდინარე საჯარო/მედია დღის წესრიგზე, რეგულარულად აწვდიდა რა მათ ღირებულ და სანდო ინფორმაციას. ინფორმაცია პროექტის ფარგლებში

[6] „ზურმუხტის ქსელი“ - ბუნებისდაცვითი ქსელი, რომლის მიზანია, დაიცვას ევროპის ფლორა, ფაუნა და მათი ბუნებრივი საბინადრო გარემო. მისი განხორციელება დაიწყო ევროპის საბჭომ, „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაპიტატების დაცვის კონვენციის“ (ბერნის კონვენციის) დანერგვის ფარგლებში. 2017 წლამდე ზურმუხტის ქსელი შექმნა წარმოადგენს ევროკავშირის ასოციების ხელშეკრულებით აღებულ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას.

მიმდინარე აქტივობების შესახებ დროულად ვრცელდებოდა სოციალური მედიას, საინფორმაციო სააგენტოების და მწვანე ალტერნატივის ვებ-გვერდის საშუალებით. დაახლოებით 30-მა ჟურნალისტმა (14 მამაკაცი და 16 ქალი) მიიღო მონაწილეობა სემინარებსა და სხვა აქტივობებში. სემინარის შემდეგ მწვანე ალტერნატივამ ჟურნალისტებს შესთავაზა მენტორობა შესაბამისი სტატიების და ნარკვევების მომზადებაში, რომლის დროსაც მათ მიეწოდებოდათ მაღალი ხარისხის საექსპერტო ინფორმაცია. მედია საშუალებების წარმომადგენლებს რეგულარუალდ მიეწოდებოდათ უახლესი ინფორმაცია სატყეო მიწების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. შედეგად გამოქვეყნდა 50-ზე მეტი სტატია და ნარკვევი (ინტერნეტ და სატელევიზიო რეპორტაჟების ჩათვლით), რომლებიც პროექტის გუნდის წევრებთან ინტერვიუების საფუძვლზე შეიქმნა. მწვანე ალტერნატივის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ 10-ზე მეტ სატელევიზიო პროგრამაში, სადაც განიხილებოდა პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლენილი პრობლემები.

- კიდევ ერთი გამოწვევა იყო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს უმაღლეს ეშელონებში განხორციელებული მოულოდნელი ცვლილებები. კომუნიკაციის პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, მწვანე ალტერნატივა ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან მიმართებაში აწარმოებდა გამჭვირვალე და საჯარო ურთიერთობების სტრატეგიას.

- გადაწყვეტილების მიმღები პირები, სახელმწიფო მოხელეები, პარლამენტარები და პოლიტიკური პარტიები ყოველთვის არ არიან დაინტერესებული შეხვედრებში, სემინარებში და მრგვალ მაგიდებში მონაწილეობაში. ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად, მწვანე ალტერნატივა რეგულარულად ამარაგებდა მათ დამაჯერებელი და სანდო ინფორმაციით. შემდგომში მათ საკუთარი აქტივობები მიაბეს მიმდინარე პოლიტიკურ დისკუსიებს, მედია საშუალებების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ყოველთვის მობილიზებულნი იყვნენ, რაც სახელმწიფო დაწესებულებების მონაწილეობის წამახალისებელი ფაქტორი იყო. გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან აქტიური დიალოგის შესანარჩუნებლად და ადვოკატირებისათვის მწვანე ალტერნატივა აქტიურად მონაწილეობდა ისეთ ოფიციალურ პლატფორმებში, როგორებიცაა ეროვნული სატყეო პროგრამა, FLEG პროგრამა, სახელმწიფო დაწესებულებების საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრები, კანონპროექტების საჯარო განხილვა და ა.შ. სულ 61-მა ოფიციალურმა პირმა (32 მამაკაცი და 29 ქალი) მიიღო მონაწილეობა პროექტის ფარგლებში ჩატარებულ სემინარებში და მრგვალ მაგიდებში.

- თბილისში, 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობით გამოწვეულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა საჭირო გახადა პროექტის სამუშაო გეგმის ადაპტირება, პროექტით გათვალისწინებული აქტივობების პარალელურად, მწვანე ალტერნატივამ გაანალიზა მომხდარის მიზეზები, რომლის შესახებ კვლევაც გამოქვეყნდა მის ვებ-გვერდზე და გავრცელდა მედია საშუალებებით. კვლევა წარედგინა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრსა და თბილისის მერს. ამ პერიოდში ჩატარებულმა ერთობლივმა სამუშაოებმა კიდევ უფრო გააძლიერა დიალოგი მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს შორის.

პროექტის მდგრადობა

მოცემული პროექტი არის მწვანე ალტერნატივის პროგრამების, „გარემოსდაცვითი მმართველობა“ და „ბიომრავალფეროვნება და ტყეები“, ნაწილი. ამ პროგრამებზე მწვანე ალტერნატივა დაარსების დღიდან მუშაობს. პროექტის პერიოდში მწვანე ალტერნატივამ დაამყარა და გააძლიერა ალიანსები სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან და სხვადსხვა დაინტერესებულ მხარესთან, ხოლო ადვოკატირება მის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად დასახა. ეს იძლევა გარანტიას, რომ პროექტის დამთავრების შემდეგაც, სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფები გააგრძელებენ მუშაობას და თავის უნარ-ჩვევებს გამოიყენებენ სხვადასხვა პროცესებში მონაწილეობისათვის - როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. პროექტის მდგრადობას ასევე უზრუნველყოფს ის ფაქტი, რომ მიღწევები შეესაბამება სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებს, როგორებიცაა ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა და ეროვნული სატყეო კონცეფცია. პროექტის შედეგებმა ხელი შეუწყო საქართველოში არსებული რეგულაციების გაუმჯობესებას.

პარტნიორ ორგანიზაციებს (მაგ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური) და არასამთავრობოებს, რომლებმაც ისარგებლეს პროექტის შედეგებით, კვლავაც შეაქვთ თავისი წვლილი პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფაში.

კომუნიკაცია, რეპლიკაცია და გაფართოება

პროექტის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი იყო სატყეო მმართველობის შეფასება საქართველოში. მონაწილეობითი პროცესი, რომელიც გამოიყენებოდა სატყეო მმართველობის არსებული სისტემის შეფასებისათვის, შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა სფეროების ანალიზის დროსაც - ინფორმაცია მოცემული პროცესის შესახებ, შეფასების მეთოდოლოგია და ტყის სწორი მმართველობის ინდიკატორები, რომლებსაც ეყდნობა ანგარიში, შესაძლებლობელია სხვა ჯგუფებმაც გამოიყენონ.

პროექტმა ხელი შეუწყო ცოდნის გავრცელებას და სახელმწიფო დაწესებულებებისა და სტუდენტების შესაძლებლობების გაძლიერებას. მოცემულ ეტაპზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივი და ტყის რესურსების მდგარდი მართვის“ პროგრამის რამდენიმე მაგისტრანტი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ

სემინარებში, ტრენინგებსა და პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებში, ამზადებს სატყეო მმართველობის შეფასების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებულ სადიპლომო ნაშრომებს. ისინი იყენებენ შეფასების იმ მეთოდოლოგიას, რომელიც შემუშვებულია პროექტის ფარგლებში. გარდა ამისა სხვადასხვა უნივერსიტეტების სასწავლო კურსში შეტანილია მწვანე ალტერნატივის პუბლიკაციები.

2015 წლის იანვარში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო მუშაობა ანგარიშზე „ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებისათვის მერქნის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი“ და აგრძელებს მუშაობას მწვანე ალტერნატივასთან მჭიდრო კონტაქტში. პროექტი დაეხმარა ამ და სხვა პარტნიორობების გაძლიერებას და ხელი შეუწყო დიალოგს სამოქალაქო საზოგადოებასა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ეროვნულ სატყეო სააგენტოს, აჭარის სატყეო სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს და სხვ. შორის.

პროექტის მიერ მომზადებული პუბლიკაციებისა და სხვა მასალის გავრცელება ვებ-გვერდის, გარემოს/მიწის საკითხებთან დაკავშირებული ინტერნეტ პორტალების და სოციალური მედიას საშუალებით შემდგომ სტიმულს მისცემს ამ გამოცდილების გაზიარებას. მწვანე ალტერნატივა მოტივირებულია გაიმეოროს სხვა ჯგუფების გამოცდილება და პირიქით. ამ აქტივობებიდან მიღებული ცოდნა უკვე გაიზიარეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა პროექტის მიმდინარეობისას. ამგვარად, პროექტი დაეხმარა ადვოკატირების გაძლიერებას და ადგილობრივ დონეზე გააქტიურებას, რაც ასევე შესამჩნევი იყო რეგიონებში კანონპროექტების საჯარო განხილვის დროს. მწვანე ალტერნატივა გეგმავს გააგრძელოს კონკრეტული საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს შორის ცნობიერების ამაღლების და ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

გამოტანილი გაკვეთილები

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების სისუსტე, სახელმწიფო დაწესებულებებს შორის ანგარიშვალდებულებისა და კოორდინაციის ნაკლებობა არის ის პრობლემური საკითხები, რომლებიც უკავშირდება სატყეო მმართველობას საქართველოში. სატყეო მმართველობის ჩატარებული შეფასება დაეხმარება სახელმწიფო დაწესებულებებს ახალი რეგულაციების შემუშავებაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრაში.

- პროექტის გუნდმა შეისწავლა ტყეების ტერიტორიაზე წიაღის მოპოვების პრობლემები. ისინი განხილული იყო პროექტის ფარგლებში ჩატარებული პრეზენტაციებისა და შეხვედრების დროს, მომზადდა სპეციალური საჯარო პოლიტიკის ნარკვევი („ეკონომიკური პროექტების ზემოქმედების შედეგად ეკოსისტემების განადგურებასთან დაკავშირებული გამოწვევები“). ყველა დაინტერესებული მხარე თანხმდება, რომ წიაღის მოპოვება დიდ საფრთხეს უქმნის ტყის ეკოსისტემებს საქართველოში და მოითხოვს სასწრაფო ცვლილებებს შესაბამის კანონმდებლობაში. მწვანე ალტერნატივის მთავარი რეკომენდაცია ამ პრობლემის გადასაჭრელად მდგომარეობს სატყეო კანონმდებლობის ჰარმონიზაციაში გზმ კანონმდებლობასთან, ევროკავშირთან დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად.

წიაღის მოპოვება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ წაბლის ტყეებში, ჭიათურის რაიონი

- სახელმწიფო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები, საერთაშორისო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები (სულ 56 ადამიანი, 22 ქალი და 34 მამაკაცი) იყვნენ ჩართული სატყეო მიწების ზონირების/კატეგორიზაციის ახალი სისტემის შემუშავებაში. მწვანე ალტერნატივამ გამოიყენა ყველა დაინტერესებული მხარის გამოცდილება. თავიდან მეტყევე ექსპერტები გამოხატავდნენ ერთგვარ უკმაყოფილებას კატეგორიზაციის ახალ სისტემასთან დაკავშირებით. ბევრი დაინტერესებული მხარე არ იცნობდა ტყის ზონირების/კატეგორიზაციის საერთაშორისო პოლიტიკისა და პრაქტიკის თანამედროვე პრინციპებს. შემდეგ, დისკუსიების დროს მწვანე ალტერნატივამ აუხსნა მონაწილეებს, რომ კატეგორიზაციის შემოთავაზებული პრინციპები პასუხობს სახელმწიფო სატყეო პოლიტიკის მოთხოვნებს (საქართველოს ტყის ეროვნული კონცეფცია, საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა) და საერთაშორისო ვალდებულებებს (CBD, ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულება, MCPFE და ა.შ.), რის შედეგადაც მწვანე ალტერნატივის ყველა ძირითადი რეკომენდაცია მიღებული იქნა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ. კანონპროექტი „საქართველოს ტყის კოდექსი“, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომ მოამზადა, ემყარება მწვანე ალტერნატივის მიერ შემოთავაზებულ ტყეების კატეგორიზაციის სისტემას. ამდენად, მწვანე ალტერნატივა მიიჩნევს, რომ დაინტერესებულ მხარეებთან სწორი კომუნიკაცია და მათთვის ინფორმაციის მიწოდება გადამწყვეტ როლს თამაშობს გარემოსდაცვითი მმართველობის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად გაუმჯობესებაში.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის გამჭვირვალე სტატეგიისა და საინფორმაციო საშუალებებით სწორი გაშუქების შედეგად მიღწეულ იქნა ის, რომ სახელმწიფო უწყებებმა გაითვალისწინეს პროექტის შედეგები და ძირითადი რეკომენდაციები ახალი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავებისა და ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან ჰარმონიზაციის პროცესში.

პროექტის ფარგლებში მონიტორინგისა და შეფასებისათვის გაუმჯობესებული იქნა არა მარტო სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების, არამედ სახელმწიფო დაწესებულებების შესაძლებლობებიც; კერძოდ, ძალზე დადებითად შეიძლება დახასიათდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან თანამშრომლობის გამოცდილება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ პროექტის აქტივობებში (სემინარები, შეხვედრები), ისევე სატყეო მიწების მართვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვებში, ხდებოდა ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლა. სახელმიწფო აუდიტის სამსახურმა მწვანე ალტერნატივის მიერ შემუშავებული კვლევისა და შეფასების შედეგები შემდგომში გამოიყენა „მერქნის რესურსების კომერციული გამოყენების ეფექტიანობის აუდიტის“ ანგარიშის მომზადებაში (ანგარიშის მოძიება შესაძლებელია: www.sao.ge მისამართზე). თანამშრომლობისა და მიღწევების დონე ბევრად აღემატება მწვანე ალტერნატივის მოლოდინს, რომელიც საპროექტო წინადადების მომზადებისას არსებობდა.

რეკომენდაციები და შემდგომი ნაბიჯები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მწვანე ალტერნატივამ ჩაატარა სატყეო მიწების მმართველობის შეფასება მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის ტყეების მართვის ინიციატივის (GFI) ინდიკატორების მიხედვით. ამავე დროს, მცირე დროისა და შეზღუდული ფინანსური საშუალებების გამო მოხერხდა სატყეო მმართველობის მხოლოდ ზოგიერთი თემატური სფეროს შეფასება (მიწათსარგებლობის დაგეგმვა, მიწის სექტორული გამოყენება, ტყეების კლასიფიკაცია, ტყეების საკუთრების ფორმები და სარგებლობის უფლებები, ტყეების სახელმწიფო საკუთრება). ამჟამად მთავრობა მუშაობს ახალ კანონმდებლობაზე, რომელმაც უნდა დაარეგულიროს ტყისა და ბუნების კონსერვაციის საკითხები. ამისათვის აუცილებელი იქნება სატყეო მმართველობის ყველა თემატური სფეროს ღრმა და საფუძვლიანი შეფასება GFI-ს ინდიკატორების მიხედვით.

ტყეების კატეგორიზაციის ახალი სისტემა დაეხმარება ახალი დაცული ტერიტორიების და „ზურმუხტის ქსელის“ განვითარებას საქართველოში. სამოქალაქო ორგანიზაციის ჯგუფებს შესაძლებლობა ექნებათ აწარმოონ ამ პროცესის ადვოკატირება და მონიტორინგი.

ოქროს მოპოვება ტყის ეკოსისტემების ტერიტორიაზე, ბოლნისის და დმანისის რაიონები

ეს გამოცემა მომზადდა მწვანე ალტერნატივას პროექტის „სატყეო მიწების მმართველობის გაუმჯობესება საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის“ (Improving forest land governance to foster sustainable development in Georgia) ფარგლებში: პროექტი დაფინანსებულია EU NGO პროექტის - „გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესება არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდის გზით“ - ფინანსური მხარდაჭერით, რომელსაც საქართველოში გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მცირე გრანტების პროგრამის მოდალობითა და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ახორციელებს.

მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის ევროკავშირს, გაერო-ს განვითარების პროგრამას და გლობალურ გარემოსდაცვით ფონდს ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ევროკავშირის, გაერო-ს განვითარების პროგრამის ან გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2016

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG